3rd INTERNATIONAL KARTVELOLOGICAL-CAUCASIOLOGICAL CONGRESS

III საერთაშორისო ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური კონგრესი

მიმდინარე წლის 3-5 ოქტომბერს გაიმართა III საერთაშორისო ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური კონგრესი, მიძღვნილი აკად. თ. გამყრელიძის 100 წლისთავისადმი. ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და თსუ-ის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. კონგრესი ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით.

კონგრესი გაიხსნა და პირველი პლენარული სხდომა გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. კონგრესის მუშაობა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. კვესიტაძემ. მონაწილეებს სამუშაო გეგმა გააცნო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკად, რ. მეტრეველმა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნ. მიცკევიჩი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. გ. შარვაშიძე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი აკად, ჯ. სამუშია.

სექციების სხდომები ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

სექციების გაერთიანებული სხდომა მიეძღვნა აკად. მ. ლორთქიფანიძის 100 წლისთავს. გაიხსნა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

აღსანიშნავია კონგრესის წარმომადგენლობითი ხასიათი. მის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, შვედეთის, უკრაინის, რუმინეთის, რუსეთის, ავსტრალიის, თურქეთის, იაპონიის, ისრაელის, აზერბაიჯანის, სომხეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე ქართველოლოგებმა და კავკასიოლოგებმა.

მრავალეროვნული იყო კონგრესის თემატიკაც, რომელმაც მოიცვა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ენების, ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ა.შ. აქტუალური პრობლემები.

კონგრესის მუშაობამ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარა. მისი შედეგები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამამულო და უცხოური ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის განვითარებაში.